



17

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 43/00

„ 28 „ მთხ 2010

ქ. თბილისი

„ვამტკიცებ“

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ჯერენაშვილი

„ 28 „ მთხ 2010 წელი

ეგზ. N2

ობიექტი: საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური
(კამერალური) აუდიტი

პერიოდი: 01/01/09-01/01/10



საქართველოს კონტროლის პალატა

www.control.ge

აუდიტის აქტი

ობიექტი: საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური)

აუდიტი

პერიოდი: 01/01/09-01/01/10

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
აპრილი, 2010

შინაარსი / საძიებელი

ნაწილი I. შესავალი	გვ. 2
ნაწილი II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	გვ. 3
ნაწილი III. ძირითადი ტექსტი	გვ. 4
1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:	გვ.4
1.1 წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;	გვ.5
1.2 დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით;	გვ.6
1.3 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა;	გვ.7
1.4 გრანტების (ფულადი და სასაქონლო) მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა;	გვ.7
2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება):	გვ.10
2.1 არაფინანსური აქტივების ცვლილება;	გვ.10
2.2 დებიტორ-კრედიტორების ცვლილება.	გვ.10
ნაწილი IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.	გვ.12
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	გვ.12
აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები , გამოყენებული კანონმდლობა და ნორმატიული აქტები	დანართი A

I. შესავალი

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 10 მარტის №38/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - საქართველოს პარლამენტი. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 8. ტელ: 284229

აუდიტის ჯგუფი - უფროსი აუდიტორი თამაზ გურგენიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი);

აუდიტორი - გიორგი მშვილდაძე.

სააუდიტო პერიოდი - 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - 10/03/2010 – 10/04/2010 (დაწყება-დამთავრება)

შემოკლებანი:

საქართველოს პარლამენტი - პარლამენტი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – სამინისტრო.

II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტის დროს მნიშვნელოვანი დარღვევები არ გამოვლენილა.

III. ძირითადი ტექსტი.

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:

1.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

ა) წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;

პარლამენტის მიერ 2008 წლის 13 აგვისტო ფინანსთა სამინისტროში გაგზავნილი იქნა პარლამენტისა და მასთან არსებული ორგანიზაციების საბიუჯეტო ცირკულარი „2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში“ გასათვალისწინებლად, სადაც აღნიშნულია მომუშავეთა რიცხოვნობა - 1 414, ხოლო ასიგნებების ზღვრული მოცულობა 44 505.9 ათასი ლარის ოდენობით. 2008 წლის 30 სექტემბერს პარლამენტის მიერ (აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით) გაგზავნილი იქნა 2009 წლის საბიუჯეტო ცირკულარის

კორექტირებული ვარიანტი, სადაც მომუშავეთა რიცხოვნობა უცვლელია (1 414), ხოლო ასიგნებები შემცირდა 1 542.2 ათასი ლარით და შეადგინა 42 963.7 ათასი ლარი.

/ათასი ლარი/

პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	მომუშავეთა რიცხოვნობა		ასიგნებები	
	18.08.2008 წელს დაშვებული ცირკულარი	30.09.2008 წელს დაშვებული ცირკულარი	18.08.2008 წელს დაშვებული ცირკულარი	30.09.2008 წელს დაშვებული ცირკულარი
პარლამენტის აპარატი	900	900	36900.7	36900.7
პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო	23	23	415.2	354.0
პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკა	476	476	6640.0	5309.0
პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო	15	15	550.0	400.0
ჯამი	1414	1414	44505.9	42963.7
სხვაობა			-1 542.2	

2009 წლის 4 დეკემბერს ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შემდეგ დაზუსტებულმა გეგმამ 37 532,4 ათასი ლარი შეადგინა ანუ 5 431,3 ათასი ლარით ნაკლები. კერძოდ:

- ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის 2009 წლის 15 ივლისის ცვლილების ცნობა N359–ით და 2009 წლის 8 დეკემბრის ცვლილების ცნობა N676–ით „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი შემცირდა 5346,0 ათასი ლარით, „სხვა ხარჯების“ მუხლი 62,0 ათასი ლარით, ხოლო „საქონელი და მომსახურების“ მუხლი 48,0 ათასი ლარით.
- ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის 2009 წლის 8 დეკემბრის ცვლილების ცნობა N684–ით პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას დაფინანსება გაეზარდა 24,7 ათასი ლარით. კერძოდ „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით 14,7 ათასი ლარით, ხოლო „საქონელი და მომსახურების“ მუხლით 10,0 ათასი ლარით.

პარლამენტსა და მასთან არსებულ ორგანიზაციებში ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მუხლებს შორის გადანაწილება (ცვლილებები) 2434,1 ათასი ლარის ოდენობით განხორციელებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით და „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 51³-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მუხლობრივი გადანაწილების მოცულობა არ აღემატება მთლიანი ასიგნებების 10%-ს.

ბ) დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით;

2009 წელს პარლამენტის და მასთან არსებული ორგანიზაციების (ორგანიზაციული კოდი 0100) გამოყოფილი ასიგნებები და გაწეული ხარჯები:

/ათასი ლარი/

მუხლის დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი	სხვაობა ფაქტიურსა და საკასო ხარჯებს შორის
ხარჯები	31 388,7	33 805,1	33 128,7	33 004,8	33 003,6	40 327,6	7 324,0
მათ შორის							
შრომის ანაზღაურება	21 512,1	23 042,1	22 973,5	22 915,7	22 915,7	22 915,7	—
თანამდებობრივი სარგო			13 574,6	13 550,1	13 550,1	13 550,1	—
წოდებრივი სარგო			3,2	3,2	3,2	3,2	—
პრემია			5 821,6	5 821,6	5 821,6	5 821,6	—
დანამატი			3 251,7	3 218,6	3 218,6	3 218,6	—
კომპენსაცია			322,3	322,3	322,3	322,3	—
საქონელი და მომსახურება	9 574,6	10 380,9	9 789,2	9 725,7	9 724,5	9 591,3	-133,1
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება			1 676,7	1 676,7	1 676,7	1 676,7	—
მივლინებები			1 363,0	1 360,4	1 360,4	1 333,3	-27,1
ოფისის ხარჯები			3 987,2	3 971,0	3 971,0	3 806,3	-164,2
წარმომადგენლობი თი ხარჯები			1 645,3	1 623,5	1 622,2	1 602,9	-19,3
სამედიცინო ხარჯები			17,6	17,6	17,6	17,6	—
რბილი ინვენტარი და უნიფორმა			12,8	12,8	12,8	12,4	-0,4
ტრანსპ. და ტექნიკის ექსპლუატაციის ხარჯები			763,2	745,2	745,2	906,2	161,0
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			323,3	321,8	321,8	238,6	-83,2
ძირითადი კაპიტალის მოხმარება						2 197,2	2 197,2
გრანტები	4,0	4,0	3,0	2,7	2,7	2,7	—
სოციალური უზრუნველყოფა	90,0	186,5	178,4	178,4	178,4	178,4	—
დამქირავებლის მიერ გაწეული სოც. დახმარება			1 248,5	178,4	178,4	178,4	—
სხვა ხარჯები	208,0	191,6	184,3	182,0	182,0	5 442,1	5 260,0

სხვადასხვა ხარჯები			184,3	182,0	182,0	5 442,1	5 260,0
არაფინანსური აქტივები	6 143,7	3 807,2	3 785,2	3 785,2	3 785,2	-	-
შენობა ნაგებობები			621,1	621,1	621,1	-	-
მანქანა დანადგარები			3 158,5	3 158,5	3 158,5	-	-
სხვა ძირითადი აქტივები			5,5	5,5	5,5	-	-

პარლამენტის და მასთან არსებული ორგანიზაციების ფაქტიურ და საკასო ხარჯებს შორის სხვაობამ 7 324,0 ათასი ლარი შეადგინა, კერძოდ:

ა) „ მივლინების“ მუხლში სხვაობამ 27,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გამოწვეულია საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის პარლამენტის აპარატის მიერ გაცემული სამივლინებო თანხებით, რომლებზეც ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი იქნა შემდგომ პერიოდში.

ბ) „ოფისის ხარჯების“ მუხლში სხვაობამ 164,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გამოწვეულია საწყობში არსებული სასაქონლო მარაგების ზრდით.

გ) „წარმომადგენლობითი ხარჯები“-ს მუხლით სხვაობამ 19,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გამოწვეულია ავანსად გადარიცხული თანხებით.

დ) „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯების“ მუხლში სხვაობა 161,0 ათასი ლარი გამოწვეულია წინა პერიოდში არსებული მატერიალური მარაგების ხარჯვით.

ე) „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლში სხვაობა 83,2 ათასი ლარი გამოწვეულია შპს „საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტში“ ავანსის სახით გადარიცხული თანხით.

ვ) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში 2 197,2 ათასი ლარის ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს, ძირითად საშუალებებზე წლის განმავლობაში დარიცხულ ცვეთის თანხას.

ზ) „სხვა ხარჯების მუხლში“ სხვაობა 5 260,0 ათასი ლარი გამოწვეულია UNDP-ის მხარდაჭერით გათვალისწინებული პროგრამების დებიტორული დავალიანების დაფარვით.

აპარატის და მასში შემავალი ორგანიზაციების პერსონალსა და მის მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები:

გ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა;

საქართველოს პარლამენტს 2009 წლის განმავლობაში პრეზიდენტის ფონდიდან გამოეყო 88,5 ათასი ლარი, საიდანაც 67,1 ათასი ლარი გახარჯულია მივლინებებზე.

საქართველოს პარლამენტს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხები არ მიუღია.

2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება:

2.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

ა) არაფინანსური აქტივების ცვლილება:

საქართველოს პარლამენტს და მასთან არსებულ ორგანიზაციებს წლიური ბიუჯეტის კანონით „არაფინანსური აქტივების“ მუხლით გეგმით დამტკიცებული ჰქონდა 6143,7 ათასი ლარი. დაზუსტებულმა გეგმამ 3807,2 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო ვალდებულებამ და საკასო ხარჯმა 3 785,2 ათასი ლარი. „ძირითადი აქტივების“ მუხლით შენობა-ნაგებობებზე გახარჯულია 621,1 ათასი ლარი, რაც ძირითადად მოიცავს პარლამენტის შენობის რემონტის თანხებს. მანქანა – დანადგარები და ინვენტარი შეძენილია 3 158,5 ათასი ლარის ოდენობით (ა/მანქანები, ლიფტები, კომპიუტერი, ავეჯი და სხვა), ხოლო სხვა ძირითადი აქტივების მუხლით პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკის მიერ შეძენილია 5,6 ათასი ლარის არამატერიალური აქტივები(პროგრამები).

პარლამენტის მიერ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 24 ნოემბრის N1-1/2688 ბრძანების თანახმად, ჩანაცვლების მიზნით გაცვალა მის ბალანსზე რიცხული 47 ა/მანქანა, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 1 327,1 ათასი ლარი. მოწვეული აუდიტის მიერ ა/მანქანები შეფასდა 754,2 ათას ლარად. პარლამენტს მიღებული და შემოსავალში აღებული აქვს 47 ა/მანქანა (390,6 ათასი ლარი გადარიცხულია 2008 წელს, 938, 3 ათასი ლარი 2009 წელს).

ამერიკის განვითარების სააგენტოს თანამშრომლებმა პარლამენტს უსასყიდლოდ გადასცა ამერიკის სენატის საჩუქარი 12,8 ათასი ლარის „არაფინანსური აქტივი“ კომპიუტერული პროგრამა – SQL Server. ასევე GTZ პროექტის „ადგილობრივი დემოკრატიის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში“ მიერ გადაცემული იქნა 115,1 ათასი ლარის „არაფინანსური აქტივი“ (ავტომანქანა „ტოიოტა ლენდკრუიზერი“, კომპიუტერული ტაქნიკა, მობილური ტელეფონი და სხვა).

გაეროს განვითარების პროგრამიდან(UNDP) პარლამენტს მიღებული აქვს 1 358.1 ათასი ლარის ოდენობის „არაფინანსური აქტივი“, კერძოდ: პროგრამებიდან „გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში“ და „საქართველოს პარლამენტის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაძლიერება“

(კომპიუტერული ტექნიკა, ტელევიზორი, ავეჯი და სხვა). აუდიტის ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა მიღებული მატერიალური ფასეულობების დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი), რომელიც შემოსავალში აღებული იქნა სრულად და დროულად.

ბ) დებიტორ - კრედიტორების ცვლილება.

საქართველოს პარლამენტის აპარატს 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხებოდა 7 419,1 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება. 2009 წლის განმავლობაში დებიტორული დავალიანება გაზრდილია 730,4 ათასი ლარით, ხოლო შემცირებულია 7348,6 ათასი ლარით,

რაც ძირითადად გამოწვეულია „UNDP“-ის მხარდაჭერით გათვალისწინებული პროგრამების „გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში“ და „საქართველოს პარლამენტის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაძლიერება“ დებიტორული დავალიანებების დაფარვით, რაც განხორციელდა შესაბამისი ანგარიშგების(ბალანსების) ფორმების წარდგენის საფუძველზე.

აპარატს 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცებოდა 2 790,3 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება. 2010 წლის განმავლობაში კრედიტორული დავალიანება გაზრდილია 1,0 ათასი ლარით, ხოლო შემცირებულია 16,2 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია ი/ს „ვესტას“ სასარგებლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებით.

IV აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უფროსი აუდიტორი

ხელმოწერა/თარიღი

თამაზ გურგენიძე

თ. გურგენიძე 28.05.2010

აუდიტორი

გიორგი მშვილდაძე

გიორგი მშვილდაძე

დანართი A

აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები

დავით ჯანიაშვილი - აპარატის უფროსი;

იაკობ ედილაშვილი - საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

ეთერ დვალიშვილი - მთავარი ბუღალტერი.

გამოყენებული კანონმდლობა და ნორმატიული აქტები

საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“;

საქართველოს კანონი „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 28 ივნისის N437 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესი“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 12 თებერვლის N129 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესი“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 19 სექტემბრის N1064 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.